ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 4

ქ. თბილისი 22.03.2019

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ მასწავლებელი, საბჭოს თავმჯდომარე
2. **გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ** - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
4. **დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N 87 საჯარო სკოლის დირექტორი
5. **გელა მაჭარაშვილი** - სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N 2 საჯარო სკოლის დირექტორი
6. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ თბილისის N 64 საჯარო სკოლის დირექტორი
7. **ნინო ჯანჯღავა** - ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის დირექტორი
8. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი. (აღნიშნულ პერიოდში ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი).

რამაზი გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკოსი.

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

საბჭოს სხდომას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, რაც აღწერილია მათი წარმომადგენლის მიერ ცენტრში შემოტანილ კორესპონდენციაში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში"

ნინო ფეტვიაშვილი (თავჯდომარე)

სერგო დურგლიშვილი საბჭოზე ვერ გამოცხადდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია.

სხდომა გაიხსნა 16:15 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს მდივანი, თამილა ჩუბინიძე არ გამოცხადდა სხდომაზე. მან საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა საბჭოს წევრს, მაკა მამფორიას.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ - განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - ქალბატონმა ნინო ჟვანიამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სკოლიდან წარმოდგენილი კორესპონდენცია, რომელიც ცენტრში დღის პირველ ნახევარში დარეგისტრირდა. წერილში აღნიშნული იყო, რომ სკოლის დირექტორი და მათი იურისტი გარკვეული მიზეზების გამო ვერ დაესწრებოდნენ სხდომას და მოითხოვდნენ სხდომის გადადებას. ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სკოლას წერილობით შეატყობინა, რომ მათ შესაძლებლობა ჰქონდათ სხდომაზე დასასწრებად გამოეყოთ სხვა პირი, თუმცა საბჭოზე სკოლის წარმომადგენელი არ

გამოცხადებულა. საბჭოს თავჯდომარე გაეცნო წარმოდგენილი კორესპონდენციის შინაარსს და ობიექტურ მიზეზებს სკოლის წარმომადენლების სხდომაზე გამოუცხდებლობის შესახებ. მან დააყენა საკითხი სკოლის მომართვის საფუძველზე საბჭოს სხდომის გადადებასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრმა, დავით ჭეიშვილმა იკითხა, აღნიშნული პირების გარდა, სკოლას ჰყავდა თუ არა ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი ან დირექტორის მოადგილე. ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა საბჭოს წევრებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია სკოლის დირექტორის და დამფუძნებლის შესახებ. სკოლის მიერ ცენტრში წარმოდგენილ კორესპონდენციას ხელს აწერდა პირი, რომელიც დოკუმენტაციის მიხედვით, არსად არ ფიგურირებდა. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, იყვნენ თუ არა თანახმანი, შუამდგომლობის მიუხედავად, გამართულიყო სხდომა, რაზეც საბჭოს წევრებმა ერთხმად განაცხადეს თანხმობა.

1. შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" - განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1.1. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ - ქალბატონმა ნინო ფეტვიაშვილმა დეტალურად აღწერა სკოლაში არსებული მდგომარეობა სამივე სტანდარტის მიხედვით. მან აღნიშნა, რომ შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" იყო სკოლის ახალი სახელწოდება და მან სკოლა ,,დავითიანნი" შეიძინა გაფართოების მიზნით. არსებული სამი სტანდარტის თითქმის ყველა ქვესტანდარტი იყო დარღვეული ორი-სამი ქვესტანდარტის გარდა. ვიზიტის პირველ დღეს დაწესებულების დირექტორი არ იმყოფებოდა თბილისში და მოვალეობას ასრულებდა სკოლის იურისტი. თუმცა, დაწესებულების უფლებამოსილმა პირმა მოთხოვნილი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში აღარ ირიცხებოდა არცერთი მოსწავლე. 2018/2019 წლის პირველსა და მეორე სემესტრის დასაწყისში აღნიშნულ სკოლაში სწავლობდა მხოლოდ 8 მოსწავლე. პირველ დღეს ექსპერტებმა დაათვალიერეს ფართი, ბიბლიოთეკა და ეზო, რაზეც შედგა აქტი, დაწესებულების წარმომადგენელმა მოაწერა ხელი და წარმოადგინა ახსნა-განმარტება.

საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ მონიტორინგის ვიზიტის მეორე დღეს სკოლის ნდობით აღჭურვილი პირის მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაციის ნაწილი, რომელიც ეკუთვნოდა შპს ,,დავითიანნს" და ახალი დოკუმენტები და ნორმატიული აქტები, რომლებიც შემუშავებული იყო შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" - ის მიერ. დაწესებულებამ წარმოადგინა ორი სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლებიც ვერ ასახავდა 2018-2019 წლის რეალურ სურათს, ვინაიდან პირველი

წარმოადგენდა ძველ ვერსიას, ხოლო მეორე - განხილული იყო სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე 2019 წლის 01 თებერვალს და დამტკიცებული იყო დირექტორის 2019 წლის №7 ბრძანებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებდა 2018 – 2019 სასწავლო წლებში სექტემბრიდან იანვრის ჩათვლით და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან გამოთხოვილი დოკუმენტაციის მიხედვით ჰყავდათ მხოლოდ 8 მოსწავლე. ბოლო მოსწავლე მობილობით გადავიდა 2019 წლის 31 იანვარს.

ექსპერტის შეფასებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ვერ პასუხობდა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, რადგან აგებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის ძველი ვერსიის მიხედვით. (2018 -2019 წელს დაწყებით საფეხურზე ძალაში შევიდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018 – 2024წწ).

წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმებში აღწერილი იყო კონცეფცია სსსმ მოსწავლის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების, დასწრების და გაცდენების შესახებ, თუმცა წარმოდგენილი ჩანაწერი კოპირებული იყო ესგ-დან და არ ასახავდა კონკრეტული სკოლის ხედვასა და მიდგომებს.

სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა აღწერილი იყო წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმებში. სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა ვერ იქნებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამისი, რადგანაც წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნებოდა ძველ მოთხოვნებს. სკოლა ახორციელებდა დაწყებით საფეხურს, სადაც მოხდა ძირითადი ცვლილება შეფასებასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა ვერ წარმოადგინეს საკლასო ჟურნალები. მათი განმარტებით, ჟურნალები წაღებული ჰქონდა თანამშრომელს დასაარქივებლად.

სკოლას ახალ დოკუმენტაციაში შემუშვებული ჰქონდა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობისს შესახებ წესი, თუმცა ყველა ახალი დოკუმენტი, იქნებოდა ეს შინაგანაწესი, დებულება თუ სხვა, ვერ არეგულირებდა უკვე განვლილი სემესტრის განმავლობაში განხორციელებულ პროცესებს, რადგანაც დამტკიცებული იყო 2019 წლის 1 თებერვალს. სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, ბუნდოვანი იყო, როგორ ხდებოდა მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა, მშობელთა დროული ინფორმირება მოსწავლის შეფასებისა და განვითარების, სკოლაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

1.2 სკოლის შენობა ორსართულიანი იყო. ეზოს ტერიტორია არ იყო შემოსაზღვრული და გამიჯნული ფართის მფლობელის ფართიდან. ფართისა და ეზოს დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის ტერიტორია ესაზღვრებოდა მეზობლის და ფართის მფლობელების ნაკვეთებს. ვიზიტის პირველ დღეს ეზო არ იყო გამიჯნული ღობით, თუმცა ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტებს დახვდათ რკინის ბადე, რომელიც დირექციის ახსნით, გამოყოფდა სკოლის ტერიტორიას მფლობელის ფართისგან.

სკოლაში იყო 10 საკლასო ოთახი, ასევე ერთი კომპიუტერული კლასი, ერთი რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, კათედრების სამუშაო ოთახი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, დაცვისა და დირექტორის ოთახები.

საკლასო ოთახებში განთავსებული იყო ავტორიზაციის განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი მერხები და სკამები (145). მეორე სართულზე 4 საკლასო ოთახი იყო. აივნის ბოლოს ორი სათავსო ექსპერტებს დაკეტილი დახვდათ. სათავსოების შემდეგ განთავსებულ ორ ოთახში ანტისანიტარიული მდგომარეობა იყო. დაწესებულების წარმომადგენლის ახსნით, ეს ოთახები სკოლას არ ეკუთვნოდა.

ღია აივანი არ იყო შემოღობილი, რაც საფრთხის შემცველი იყო როგორც მოსწავლისთვის, ასევე ზრდასრული ადამიანისთვისაც. სკოლის კუთვნილი აივნის ფართზე და მის გაგრძელებაზეც დალაგებული იყო სამშენებლო ბლოკები. აივანი ესაზღვრება ეზოს, სადაც ეყარა ნაგავი. ნდობით აღჭურვილი პირის განცხადებით, ეზო და აივანი იზოლირებული იყო, ხოლო რკინის ბადეები ვიზიტამდე რამოდენიმე დღით ადრე მოიხსნა.

პირველ სართულზე განთავსებული იყო 2 საკლასო ოთახი (ნახევარსარდაფში), სადაც შესასვლელი იყო ეზოდან. ორივე ოთახი ვიზიტის დროს ექსპერტებს დაკეტილი დახვდათ. ნახევარსარდაფში ასევე განთავსებული იყო 2 ოთახი, რომელიც არ იყო აღჭურვილი სასკოლო ინვენტარით. ამას გარდა, პირველ სართულზე მდებარეობდა ფართი, რომელსაც იყენებდნენ ცეკვის გაკვეთილებისათვის. ამ დერეფნიდან იყო შესასვლელი ოთახში, რომელშიც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა და, სადაც იგეგმებოდა სპორტული დარბაზის გაკეთება. ამ ეტაპზე ამ ფართს იყენებდნენ საწყობად.

დაწესებულება ახორციელებდა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე მომსახურეობას, შესაბამისად საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ამ ეტაპზე არ ესაჭიროებოდა.

სკოლაში იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო, შენობის გათბობა ხორციელდებოდა ცენტრალური გათბობის სისტემით. შენობის ყველა სართულებზე

იყო სველი წერტილები გოგონებისათვის და ვაჟებისათვის (სამ-სამი). ერთი სველი წერტილი შენობის მეორე სართულზე ადაპტირებული იყო სსსმ მოსწავლისთვის. თითოეული საკლასო ოთახი უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი განათებით. სკოლას ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და წყალი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან.

სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა და ჰყავდა ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკის დათვალიერებისას სსკოლამ ვერ წარმოადგინეა მე-6 კლასის სახელმძღვანელოები და დანარჩენი კლასების (1 – 5 კლასები) სრული სახელმძღვანელოების კომპლექტები. ვიზიტის მეორე დღეს სკოლის ადმინისტრაციამ შეიძინა დანარჩენი სახელმძღვანელოები, დაარტყა ახალი ბეჭედები და დააწყო ბიბლიოთეკაში.

სკოლაში იყო ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთათვის.

სკოლაში იყო 8 კომპიუტერი რომლებიდანაც 5 განთავსებული იყო კომპიუტერულ კლასში, დანარჩენი ადმინისტრაციის გამოყენებაში იყო, ასევე იყო ერთი კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი).

სკოლამ ვერ წარმოადგინა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სამედიცინო კაბინეტში, რომელიც შენობის მეორე სართულზე იყო, იდგა სამედიცინო საწოლი და შუშებამოღებული კარადა, რომელშიც ყოველგვარი დაცულობის გარეშე იყო რამოდენიმე წამალი.

დაწესებულებამ წარმოადგინა წესდება, დებულებისა და შინაგანაწესის ახალი და ძველი ვერსიები. სკოლამ წარმოადგინა სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა, მაგრამ ვერ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2019 წლის) და SWOT ანალიზი.

სკოლამ ვერ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი და გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. ამას გარდა არსად არ ფიქსირდება მოსწავლეთა დასწრება (საკლასო ჟურნალები), ჩარიცხვა და ამორიცხვა.

სკოლამ ვერ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი და გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. ამის გარდა, არსად არ ფიქსირდებოდა მოსწავლეთა დასწრება (საკლასო ჟურნალები), ჩარიცხვა და ამორიცხვა.

1.3 სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. თუმცა, ვიზიტის პერიოდისთვის ავტორიზაციის მიღებისას დასაქმებული მასწავლებლები ექსპერტებს არ დახვდნენ.

სკოლამ წარმოადგინა 10 მასწავლებლის პირადი საქმე. მათი კვალიფიკაცია დასტურდებოდა შესაბამისი დიპლომებით. ყველა მასწავლებელთან გაფორმებული იყო ხელშეკრულება.

სკოლის თანამშრომლების მიღება - გათავისუფლების წესები აღწერილი იყო სკოლის დებულებაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა გამოცემული აქტებისა და აღრიცხვის ჟურნალების არარსებობის გამო. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ახალი ბრძანებები და მიღებული გადაწყვეტილებები აღრიცხული იყო შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" -ს დოკუმენტებში.

დაწესებულებას მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან შრომის კოდექსის შესაბამისად გაფორმებული ჰქონდა შრომითი ხელშეკრულებები.

ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები სკოლამ ვერ წარმოადგინა.

ბატონმა დავით ჭეიშვილმა დასვა კითხვა, ადგილმდებარეობის შეცვლასთან დაკავშირებით, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ფართისა და დირექტორის შეცვლასთან დაკავშირებით წარმომადგენლებს არაფერი არ უცნობებიათ. ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ ვიზიტის შემდგომ სკოლამ მოიწერა წერილი ფართის ცვლილების შესახებ. ბატონმა დავით ჭეიშვილმა დასვა მორიგი კითხვა, მასწავლებლების მონაცემთა ბაზაში დაფიქსირების შესახებ, რაზეც მიიღო უარყოფითი პასუხი. დავით ჭეიშვილმა იკითხა, გადავიდნენ თუ არა მოსწავლეები მობილობით სხვა სკოლებში, რაზეც ცენტრის წარმომადგენლისგან მიიღო დადებითი პასუხი. საბჭოს წევრმა, დავით ჭეიშვილმა იკითხა, რატომ იყო ჟურნალების წაღებული და რატომ არ არსებობდა მიღება-ჩაბარების აქტები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ფიზიკურად ჟურნალებზე მათ ხელი არ მიუწვდებოდათ, ვინაიდან ჟურნალები სკოლაში არ ინახებოდა და არც მიღება-ჩაბარების აქტი იყო გაფორმებული. დავით ჭეიშვილი დაინტერესდა, რატომ გახდა საჭირო ბადის გაბმა. ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ მათი ეს ქმედება განპირობებული იყო ტერიტორიის გამიჯვნით.

მორიგი კითხვა, რომელიც დაისვა დავით ჭეიშვილის მხრიდან, შეეხებოდა სკოლის იურიდიულ დოკუმენტაციის წარმოებას, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ახალი დოკუმენტაციით აპირებენ ახალი ავტორიზაციის გავლას. ბატონმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის

მოუწესრიგებელი დოკუმენტაცია აღნიშნული სკოლიდან გადასულ მოსწავლეებს მომავალში დაბრკოლებებს შეუქმნიდა ატესტატის აღიარებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნების და დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე- 7 პუნქტისა და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" - ის (ს/კ:400147541) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 17:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

დავით მალაზონია

მდივანი

მაკა მამფორია